ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 12-73

16 ივლისი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის №9-45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის N9-45 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 15/04/2022, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016975) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა (ფუნქციური ზონები) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ

მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ



გამწვანების თემატური რუკა

საკითხი 1

ადგილმდებარეობა

- დაინტერესებული პირი: ლევან კოპლატაძე და ალექსანდრე ხუციშვილი
  მესაკუთრე: ლევან კოპლატაძე და ალექსანდრე ხუციშვილი
- მისამართი: ქალაქი თბილისი, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი N14/043 და 14/044)
- საკადასტრო კოდი: N01.14.16.014.043, N01.14.16.014.044, N01.14.16.015.419-ის ნაწილი და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორია
- მიზნობრიობა: ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მიზნით
- http://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=167839&lrId=10880#/C=44.7445871-41.7363119@Z=21
- განცხადების ნომერი: N01220481671-67 და N01220481680-67

ფუნქციური ზონირება 2014-2018



არსებული ზონირება

მოთხოვნილი ზონირება

მოთხოვნის ტექსტი: გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2) ცვლილება.
ცვლილების საერთო ფართობი: 1811 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2)

ზონირების ბალანსი

საკითხი 1

არსებული ზონირება	**მოთხოვნილი ზონირება**
სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2) (**1811**კვ.მ)	**საცხოვრებელი ზონა-2** (სზ-2) (**1811**კვ.მ)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: 2022 წლის 18 მარტის N0122077927 და N0122077929 წერილებით თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია: შესაძლებლად მიაჩნია ფუნქიური ზონის ცვლილება

ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, სააგენტოს ინიციატივით, ცვლილება ხორციელდება N01.14.16.015.419 საკადასტრო ერთეულის ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზეც

ფუნქციური ზონირების რუკა

არსებული ზონირებისა და გამწვანების ფენა



არსებული ფუნქციური ზონა რჩება უცვლელი